ყოველთვიური ეკონომიკური მიმოხილვა*

თვის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები

- 2022 წლის დეკემბერში*, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 11.0% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ პანდემიამდელ, 2019 წელთან შედარებით ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპები აღინიშნება.
- 2023 წლის იანვარში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 9.4%-ს გაუტოლდა, რაც ძირითადად განპირობებულია სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფზე ფასების მნიშვნელოვანი ზრდით.
- დეკემბერში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 26.0%-ით, ხოლო ხარჯები 8.0%-ით გაიზარდა.
- დეკემბერში* კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა სესხებმა 44.2 მლრდ ლარი შეადგინა, მათგან ყველაზე მეტი გაცემულია ვაჭრობის, მრეწველობისა და მშენებლობის დარგებში.
- იანვარ-დეკემბერში* ექსპორტმა 31.8%-ით, ხოლო იმპორტმა 33.2%-ით მოიმატა და სავაჭრო ბრუნვამ 19,043 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
- დეკემბერში* ფულადმა გზავნილებმა 535.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს რუსეთი (გზავნილების მთლიანი ოდენობის 59.3%) და ევროკავშირის ქვეყნები (19.6%) წარმოადგენდნენ.
- იანვარში მთლიანი საერთაშორისო რეზერვები 4,899 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა.
- დეკემბერში*, წინა თვესთან შედარებით, შემცირდა დეპოზიტებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი, სესხებზე კი მცირედით გაიზარდა.
- იანვარში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 0.4%-ით გამყარდა, ხოლო ევროს მიმართ 1.3%-ით გაუფასურდა.

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge

*სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნების კალენდრის მიხედვით ზოგიერთი მონაცემი წარმოადგენს წინა თვის ცვლადს

1. რეალური და ფისკალური სექტორი



2022 წლის დეკემბერში* დადებითი ეკონომიკური ზრდა 11.0%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2022 წლის დეკემბერში*, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 11.0% შეადგინა.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2022 წლის დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით, რეალური მშპ-ის ზრდის ანუალიზებულმა ტემპმა[1] 2.0% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო თვეების განმავლობაში პანდემიამდელ, 2019 წელთან შედარებით ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპები აღინიშნება.





2023 წლის იანვარში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 9.4%-ს შეადგენს.

წინა წლის იანვართან მიმართებით, 2023 წლის იანვარში ინფლაციის დონე 9.4%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელზე მეტი. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების დინამიკამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, აგრეთვე საცხოვრებელზე, წყალზე, ელ. ენერგიაზე, აირზე, ტრანსპორტზე, ალკოჰოლურ სამელებსა და თამბაქოზე და სხვა. იანვარში საბაზო ინფლაცია (სურსათის, ენერგომატარებლების, სიგარეტის ფასების გარდა, რომლებიც მაღალი მერყეობით ხასიათდებიან) 7.7%-ით განისაზღვრა. 2022 წლის დეკემბერში მშპ-ის წლიურმა საპროგნოზო დეფლატორმა 8.7% შეადგინა.



[1] წინა თვესთან შედარებით ანუალიზებული რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი რეალური მშპ-ის მონაცემების საფუძველზე სეზონურობისა და შემთხვევითი რყევების ამორიცხვით დგინდება და წარმოადგენს შესწორებული ტრენდის გაწლიურებულ მაჩვენებელს.



2022 წლის დეკემბერში* ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.

2022 წლის დეკემბერში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 26.0%-ით, ხოლო ხარჯები 8.0%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდო 61.1 მლნ ლარით, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო (ბიუჯეტის დეფიციტი) 906.7 მლნ ლარით განისაზღვრა.





2022 წლის დეკემბერში*, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ლარში გაცემული სესხები გაიზარდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები შემცირდა.

წინა წლის დეკემბერთან მიმართებით, 2022 წლის დეკემბერში* კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა სესხებმა 4.9%-ით მოიმატა და 44.2 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 18.1%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 8.3%-ით შემცირდა. აღსანიშნავია, რომ მთლიანი სესხების ნახევარზე მეტი (53.5%) შინამეურნეობებზე მოდის.

რაც შეეხება გაცემულ სესხებს საქმიანობის სახეების მიხედვით, ყველაზე მეტი - 21.3% გაცემულია ვაჭრობის დარგში, 19.3% - მრეწველობის, 17.7% - მშენებლობის, 13.9% - უძრავი ქონების ოპერაციების, 7.4% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგში.



2. საგარეო სექტორის ინდიკატორები



2022 წლის იანვარ - დეკემბერში*, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, გაიზარდა როგორც საქონლის ექსპორტი, ასევე იმპორტი.

კერძოდ, ექსპორტმა 31.8%-ით, ხოლო იმპორტმა 33.2%-ით მოიმატა, რის შედეგადაც სავაჭრო ბრუნვა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 32.8%-ით გაიზარდა და 19,043 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 29.4%-ით განისაზღვრა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა: პერუში (1,022.5%-ით, აზოტოვანი სასუქების ექსპორტის მკვეთრი ზრდის ხარჯზე), აგრეთვე ყაზახეთში (147.6%-ით), სომხეთში (128.2%-ით), ბულგარეთში (66.8%-ით), აშშ-ში (36.2%-ით), თურქეთში (34.9%-ით). ამ პერიოდში შემცირდა ექსპორტი უკრაინაში (24.5%-ით). საექსპორტო საქონლის მიხედვით განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა აზოტოვანი სასუქების (135.5%-ით), მსუბუქი ავტომობილების (98.0%-ით), ძვირფასი ლითონების მადნების (91.8%-ით), სპილენძის მადნების (25.6%-ით), სამკურნალო საშუალებების (10.4%-ით) და ღვინის (5.5%-ით) ჯგუფებში.





2022 წლის დეკემბერში* ფულადი გზავნილები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2022 წლის დეკემბერში* საქართველოში ფულადი გზავნილები 133.2%-ით გაიზარდა და 535.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. დეკემბერში* გზავნილების ძირითად წყაროს რუსეთი (გზავნილების მთლიანი ოდენობის 59.3%) და ევროკავშირის ქვეყნები (19.6%) წარმოადგენენ. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გზავნილების მოცულობამ მნიშვნელოვნად მოიმატა რუსეთიდან (699.2%-ით), ბელარუსიდან (357.6%-ით), ტაჯიკეთიდან (262.4%-ით), უზბეკეთიდან (97.6%-ით), გაერთიანებული სამეფოდან (97.0%-ით), ყირგიზეთიდან (83.5%-ით), სომხეთიდან (64.7%-ით), ირლანდიიდან (60.7%-ით), გერმანიიდან (46.6%-ით), ნიდერლანდებიდან (36.2%-ით), აშშ-დან (28.7%-ით) და სხვა.



2023 წლის იანვარში საერთაშორისო რეზერვებმა 4,899 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2023 წლის იანვარში საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 4,899 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, ანუ 2022 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 20.1%-ით მეტი, წინა თვესთან მიმართებით კი მცირედით (0.03%-ით) ნაკლები.

2023 წლის იანვრის თვეში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სავალუტო ინტერვენციები არ განხორციელებულა.





2022 წლის დეკემბერში* მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც საერთაშორისო მოგზაურების, ასევე საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტები.

2022 წლის დეკემბერში* საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობამ 564,656 შეადგინა, რაც 216.9%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები მოიცავს საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტებსაც, რომელიც დეკემბრის* თვეში 504,620 იყო (ზრდა წინა წლის დეკემბრის ანალოგიურ მაჩვენებელთან 213.9%). დეკემბერში* ყველაზე მეტი საერთაშორისო ვიზიტორის ვიზიტი განხორციელდა თურქეთიდან (199,124. ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 510.3%-ით), რუსეთიდან (89,513. ზრდა 385.4%-ით), სომხეთიდან (76,181. ზრდა 308.3%-ით).

2022 წლის დეკემბერში* შემოსავლებმა საერთაშორისო მოგზაურობიდან 363.3 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 188.2%-ით მეტია 2021 წლის დეკემბრის თვის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

2022 წლის დეკემბერში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სარეზერვო ფულის მასა ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2022 წლის დეკემბერში* სარეზერვო ფულის მასა 15.5%-ით გაიზარდა. ფულის M2 აგრეგატმა 22.9%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 11.4%-ს გაუტოლდა. 2023 წლის იანვარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 9.4% შეადგინა.





2022 წლის დეკემბერში*, წინა თვესთან შედარებით, დეპოზიტებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი შემცირდა, სესხებზე კი მცირედით გაიზარდა.

2022 წლის დეკემბერში* დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 2.12%-ული პუნქტით შემცირდა და 53.0%-ით განისაზღვრა. სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა კი 0.10%-ული პუნქტით მოიმატა და 44.8% შეადგინა. წინა თვესთან მიმართებით, 2022 წლის დეკემბერში* ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 12.1%-ით, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 3.0%-ით გაიზარდა.





2022 წლის დეკემბერში*, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.7%-ული პუნქტით, ხოლო სესხებზე 0.2%-ული პუნქტით შემცირდა.

2022 წლის დეკემბერში* საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 13.1% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 7.7%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის) 2022 წლის დეკემბრის* მდგომარეობით 5.4% შეადგინა, 0.1%-ული პუნქტით მეტი წინა წლის დეკემბერთან შედარებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2023 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილებით რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად (11.0%) დატოვა.

2023 წლის იანვარში, წინა თვესთან მიმართებით, ლარის კურსი აშშ დოლარის მიმართ გამყარების, ხოლო ევროს მიმართ გაუფასურების ტენდენციას ავლენს.

2023 წლის იანვარში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 0.4%-ით გამყარდა, ევროს მიმართ 1.3%-ით გაუფასურდა, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 1.1%-ით გამყარდა. ამ პერიოდში გამყარდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსიც. რაც შეეხება შედარებას გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, 2023 წლის იანვარში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 15.1%-ით, ევროს მიმართ 21.1%-ით, თურქული ლირას მიმართ კი 59.5%-ით გამყარდა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო თვეებში მნიშვნელოვნად მოიმატა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ, ფულადი გზავნილების მოცულობამ, ტურიზმიდან და ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავლებმა, რამაც, წინა წელთან შედარებით, დადებითი გავლენა იქონია ლარის კურსის გამყარებაზე.



4. რეგიონული მიმოხილვა

2023 წლის იანვარში, რეგიონის ქვეყნებში, გარდა თურქეთისა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით ერთნაირი დინამიკით ხასიათდება.

კერძოდ, 2023 წლის იანვარში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 57.7% შეადგინა. შედარებით დაბალი იყო ინფლაციის დონე სომხეთში (8.1%). რაც შეეხება აზერბაიჯანსა და რუსეთს, 2022 წლის დეკემბრის* მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასები წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით აზერბაიჯანში 14.4%-ით, ხოლო რუსეთში 11.9%-ით გაიზარდა.

წლიური ინფლაცია, იანვარი



გაცვლითი კურსის წლიური ცვლილება
იანვარი, 2023



2023 წლის იანვარში რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსების ნაწილი აშშ დოლართან მიმართებაში გამყარების, ხოლო ნაწილი გაუფასურების ტენდენციას ავლენს.

კერძოდ, 2023 წლის იანვარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აშშ დოლართან მიმართებაში გამყარდა სომხური დრამი (21.9%-ით), რუსული რუბლი (9.2%-ით) და აზერბაიჯანული მანათი (0.2%-ით), ხოლო თურქული ლირა (27.9%-ით) გაუფასურდა.

გამოყენებული მონაცემების წყარო:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
3. საქართველოს ეროვნული ბანკი
4. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემაჯამებელი ცხრილები

ცხრილი N1. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები

		იან 22	თებ 22	მარ 22	აპრ 22	მაი 22	ივნ 22	ივლ 22	აგვ 22	სექ 22	ოქტ 22	ნოე 22	დეკ 22	იან 23
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი (%)	18.0	14.6	10.6	2.6	11.6	7.2	9.7	10.5	8.8	8.3	9.3	11.0	
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი (%)	39.8	27.3	24.4	11.7	25.3	20.4	21.9	23.0	19.5	14.8	16.7	16.6	
მონეტარული სექტორი	ინფლაცია (%)	13.9	13.7	11.8	12.8	13.3	12.8	11.5	10.9	11.5	10.6	10.4	9.8	9.4
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)	10.5	10.5	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0
	დეპოზიტების დოლარიზაცია (%)	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	
	სესხების დოლარიზაცია (%)	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.4	0.4	0.4	
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი (ლარი)	3.1	3.0	3.2	3.1	3.0	3.0	2.8	2.8	2.9	2.8	2.7	2.7	2.7
	გზავნილები (ათასი აშშ დოლარი)	168,840.5	183,418.8	193,065.3	308,140.1	505,708.1	427,354.6	306,023.4	334,266.1	387,177.7	501,998.8	521,164.6	535,251.1	
	ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	331.3	429.0	411.4	415.7	522.6	448.5	542.2	473.3	523.2	448.8	491.1	555.8	
	იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	801.0	1,019.2	926.1	992.8	1,181.0	1,109.2	1,173.7	1,265.5	1,137.3	1,203.3	1,262.6	1,378.4	
	სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	-469.7	-590.2	-514.7	-577.1	-658.4	-660.7	-631.5	-792.1	-614.1	-754.5	-771.5	-822.6	
	საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	4,078.1	3,992.9	4,030.6	3,826.4	3,855.2	3,922.4	4,156.7	4,260.7	4,313.1	4,385.6	4,636.7	4,900.6	4,899.3
ფისკალური სექტორი	შემოსავლები (მლნ ლარი)	1,485.1	1,292.1	1,731.5	1,263.2	1,697.9	1,707.5	1,424.4	1,356.2	1,680.6	1,688.4	1,898.4	2,151.6	
	მიმდინარე ხარჯები (მლნ ლარი)	1,185.8	1,226.2	1,413.1	1,350.9	1,377.3	1,277.2	1,510.8	1,158.4	1,312.9	1,296.9	1,561.6	2,090.5	
	კაპიტალური ხარჯები (მლნ ლარი)	193.9	218.0	304.2	230.5	266.1	445.9	327.5	403.4	624.5	148.0	600.3	1,054.5	

ზრდა კლება ცვლილება < 1%

ცხრილი N2[2]. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან.

		იანვ 22	თებ 22	მარ 22	აპრ 22	მაისი 22	ივნ 22	ივლ 22	აგვ 22	სექ 22	ოქტ 22	ნოე 22	დეკ 22	იანვ 23
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

ცხრილი N3. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან.

		იანვ 22	თებ 22	მარ 22	აპრ 22	მაისი 22	ივნ 22	ივლ 22	აგვ 22	სექ 22	ოქტ 22	ნოე 22	დეკ 22	იანვ 23
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

[2] ცხრილ N2 და N3-ში წარმოდგენილი მონაცემები აღებულია ცხრილი N1-დან.